

საქართველოსთვის უფრო მიმოსვლის მინიჭების
 დოკუმენტს ხელი გუვინ ბრიუსელში მოეწერა.
 უფრო მიმოსვლით სარგებლობას ჩვენი
 მოქალაქეები 20 დღის უმედეგ უმალავენ.

გილოცავთ!



დოკუმენტს ევროპარლამენტის პრეზი-
 დენტი ანტონიო ტაიანი (Antonio Tajani) და
 ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის –
 მალტის საპარლამენტო მდივანმა კრის აგი-
 უსმა (Chris Aguis) მოაწერეს ხელი.

საქართველოს რესპუბლიკა

სუთშაბათი, 2 მარტი. 2017 წ. №47 (8184), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

როსა უზოუი ავი კაღლი...

გულუბრყვილობა უნასმენად!


ძვეყნის განვითარების მანერბ-
 ლურად შემფერხებელი ნაციონალ-
 მდებებიან – დგანან და უტიფრად
 ხელისუფლებას აბრალევენ სასა-
 მართლოზე ზემოქმედებას მაშინ,
 როცა სინამდვილეში როგორც
 „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან, ისე ქუ-
 ჩური გამოსვლებით თვითონ ყვე-
 ლაზე მეტად ზემოქმედებენ სასა-
 მართლოზეც და ცალკეულ მოსა-
 მართლებზეც. უტიფრადვე ხმის
 ჩახლენვამდე გაპყვირიან, რომ ქვე-
 ყანაში სამართლიანობის აღდგენას
 „ოცნებაში“ არ დააყენა საშველი და
 ამავე დროს „რუსთავი-2“-სთვის სა-
 მართლებრივ დავას, ანუ სააკაშვი-
 ლისგან თავის დროზე ამ ყაჩაღუ-
 რად მიტაცებული აშკარად ერთ-
 პარტიული, ავად ტენდენციური ტე-
 ლეარხის კანონიერ მფლობელთათ-
 ვის დაბრუნებას ხელისუფლების
 მიერ თავისუფალი სიტყვის ჩა-
 სახშობად განაღებულ ბრძოლად
 ასაღებენ.

გულუბრყვილო ადამიანებისთ-
 ვის თვალეში ნაცრის მაგივრად ამ-
 ჯერად დუსტის შესაყრელად საეშ-
 მაკოდ ორად გახლენილი სა-
 მარტყხვინო ნაციონალური ნარჩე-
 ნების გვერდით დადგა კიდეც 9 ეგ-

რეთ წოდებული დესტრუქციული
 ოპოზიცია, რომლის ჭიანჭამი აზ-
 რით, თუ „რუსთავი-2“-ის სათავეში
 კვლავ ქვეყნიდან გაძევებული, ბრალ-
 დებული ექსპრეზიდენტის ქაქიანი
 კუდი გვარამია არ იქნება დასკუპე-
 ბული, საქართველო დაიღუპება,
 რადგან თავისუფალ სიტყვას ლაგამი
 ამოედება, რასაც დემოკრატიულ ფა-
 სეულობათა ნგრევა მოჰყვება და სა-
 ერთოდ სახელმწიფო ჩამოიშლება.
 გესმით გულუბრყვილო, მიამიტო,
 მალემრწმენო მოქალაქენო, თურმე
 რა საშიშროების წინაშე აღმოვჩნ-
 დებით, თუ პანდორას ყუთი, ანუ
 „რუსთავი-2“ თავის კანონიერ დამ-
 ფუძნებელთ და მფლობელთ დაუბ-
 რუნდება.

დღეს 11 საათზე უზენაესი სასამარ-
 თლოს შენობის წინ სწორედ ამ „პან-
 დორას ყუთის“ თავგადაკლული დამ-
 ცველნი იკრიბებიან და, რათა რაც
 შეიძლება ბევრნი გამოჩნდნენ, უნ-
 დათ, რომ შენც მიგიტყუონ, ნაციო-
 ნალთა ფაშისტური რეჟიმისგან
 ცხრაპირტყავამძერალო გულუბრ-
 ყვილო მოქალაქეც!

გვეყო, მანენ ნაციონალთაგან არა-
 ერთხელ მწარედ მოტყუებულო ჩე-
 მო მეგობარო, მუქთახორა პოლიტი-
 კოსთა ფეხის ხმის აყოლა. ეგენი ყვე-



ლა საქმეში სათავისო ხეირს ეძებენ
 და უნდათ, რომ ჩვენი პოლიტიკური
 დაბნეულობით ისარგებლონ. აკი ამი-
 ტომაც აკერიათ პირზე ქვეყანა,
 ხალხი, საზოგადოება. ეს მაშინ, რო-
 ცა საკუთარ ჯამში ჩაცქერილებს
 სულ ფეხებზე ჰკიდიათ ქვეყანაც,
 ხალხიც და საზოგადოებაც.

როცა ამ ეგრეთ წოდებულ ოპო-
 ზიციანზე, ამ ოპოზიციად მონათლულ
 უთუოდ ბოროტ, თავკერძა ადამია-
 ნებზე ვფიქრობ, რატომღაც თვალ-
 წინ მიდგება ჯერ კიდეც შემორჩენი-
 ლი ზოგიერთი ძველი თბილისური
 ეზო, რომლის ჭიშკარსაც აწერია:
 ეზოში ავი ძაღლია. აი, ამ წარწერის
 ანალოგიით, თუ საქართველოს ჭიშ-

კარს წარმოვიდგენთ, ეგრევე და-
 უფიქრებლად წავანერდი: ფრთხ-
 ილად, ამ ქვეყანაში ავი, ბოროტი
 ოპოზიცია!

ავისა და ბოროტისაგან კი, ჩემ-
 ზე კარგად მოგეხსენებათ, ისევ ავსა
 და ბოროტს უნდა ველოდოთ და
 არა სიკეთის მაგვარ რასმე...

ასე რომ, როცა იმ ეზოს მივად-
 გებით (თუ ქვეყანას), რომლის ჭიშ-
 კარსაც აწერია, ეზოში ავი ძაღ-
 ლიაო (თუ ეგრეთ წოდებული ოპო-
 ზიციანო), სიფრთხილეს თავი არა
 სტკივა... გადამწყვეტი შეტევისთ-
 ვისაც მზად უნდა ვიყოთ!

გურამ ნიკლაური

SOS!

**ჯოჯოხეთის
 აანდორას ყუთი
 საგანგებო
 რეჟიმზე გადავიდა!**




„რუსთავი-2“-ის ჯოჯოხეთა დი-
 რექტორი ნიკა გვარამია ორი მოსამარ-
 თლის აცილებების მოთხოვნას აყენებს და
 უზენაეს სასამართლოსთან აქციას
 აანონსებს.

მისი განცხადებით, 2 მარტს, უზენაეს სასამართლოს-
 თან გაიმართება აქცია, პარალელურ რეჟიმში კი გაიხ-
 სნება ეთერი ყველა მხარდამჭერისთვის და იქნება ლია
 მიკროფონი.

„ეს გაგრძელება მანამ, სანამ უზენაესი სასამართლო
 არ გამოიტანს განაჩენს,“ – განაცხადა გვარამიამ ბრიფინგზე.
 მისივე თქმით, „რუსთავი-2“ გადასულია საგანგებო
 რეჟიმზე, რაშიც იგულისხმება ტელეკომპანიის შიგნი-
 დან გამაგრება.

ომროს გზა

**ქვევრი (ჭური) –
 მზეჩასხივებული
 ღვინის იშვიათი ჭურჭელი**



6-7

აქანს მოვეწარით!

**დეკანოზი
 იწყავლება
 და ჩვენებას
 არ აკლავს...**



„ციანიდის
 საქმის“ პრო-
 კურორების
 ინფორმაცი-
 ით, ბრალდე-
 ბულმა დეკა-
 ნოზმა გიორ-
 გი მამალაძემ ისინი დაწყე-
 ლა, ჩვენების მიცემაზე კი
 გუშინ უარი განაცხადა.



ბატრონ გიორგი

მოგესალმებით უღრმესი პატივისცემით

ვერც მთაწმინდის რაიონის ყოფილი და ამჟამინდელი დეპუტატების, ვერც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საშუალებით ხმა ვერ მოგანდინეთ. ამის გამო ღია წერილს გიგზავნით კოჯორიდან ომარ ჩიხლაძე, ფიზიკოსი, მამის ტოლი კაცი. შორიდან გეფერებით ისევე, როგორც თქვენ ეფერებოდით გვერდებიდან შემოპარულ პატარა გოგონას.

45 წელიწადი ვიმუშავე მეცნიერება აკადემიის წარმატებულ კიბერნეტიკის ინსტიტუტში. მოგესალმებით, სიტყვა „კიბერნეტიკა“ პროცესების მართვას ნიშნავს. დაგვიგროვდა გარკვეული ცოდნა და გამოცდილება და გვსურდა, იგი გაგვეზიარებინა თქვენთვის, რადგან ღრმად გვინდებოდა შოუს გენიალური გამონათქვამისა: „თუ თქვენ გაქვთ ვაშლი და მე მაქვს ვაშლი და თუ ჩვენ გავცვლით ამ ვაშლებს, ორივეს გვექნება კვლევი თითო ვაშლი, ხოლო თუ თქვენ გაქვთ იდეა და მე მაქვს იდეა და თუ ჩვენ გავცვლით ამ იდეებს, ორივეს გვექნება უკვე არა თითო, არამედ ორი იდეა“. იდეა კი აბსტრაქტული ცნება კი არაა, სიცოცხლის არსის მატარებელი, საზოგადოების პირველსაწყისი, მისი მამოძრავებელი რეალური ძალაა.

ჩვენი სამყარო ერთი დიდი გადაშლილი ნიგნია და გააჩნია ვინ როგორ წაიკითხავს მას, ვის რა ინტელექტი (აზროვნება) გააჩნია. მეც მინდა ჩემი თვალთახედვით შეგახედოთ ამ სამყაროს და დავსვა კითხვა:

რა არის ადამიანი? რისგან შედგება? ეს არ არის რიტორიკული კითხვა. ყველა მეტწილად განათლებულმა ადამიანმა იცის, რომ იგი შედგება სხვადასხვა ორგანოებისაგან: თავის ტვინი, გრძნობითი ორგანოები, გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ფილტვები, კუჭ-ნაწლავთა სისტემა, ძვალ-სახსროვანი სისტემა, კუნთოვანი სისტემა, ნერვული სისტემა და ა.შ. მოდით, შევთანხმდეთ, დავარქვათ ადამიანს ბუნებრივი სისტემა (რადგან იგი ბუნებამ შექმნა), ხოლო მის შემადგენელ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ორგანოს – ქვესისტემები. დამეთანხმებით, რომ ადამიანის სისტემა არ ჰგავს არცერთ მის შემადგენელ ქვესისტემას. იმაშიც დამეთანხმებით, რომ ყველა ქვესისტემას ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული დანიშნულება და ფიზიოლოგია გააჩნია. ამ ბუნებრივ სისტემაში არ მოქმედებს ყაბაღადაღებული ლოგიკა: შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება, აქ მოქმედებს სულ სხვა –ახალი ლოგიკა: მთლიანი მეტია ჯამზე. განსხვავებული ქვესისტემების ჯამში დაიბადა სულ ახალი, მთლიანი სისტემა – ადამიანი, მოარული, მოაზროვნე, ბიოლოგიური სამყაროს გვირაგინი, ჰომო საპიენსი. აქ შეიძლება მავანს გაუჩნდეს კითხვა, თუკი ყველა ქვესისტემას ერთმანეთისგან განსხვავებული დანიშნულება და ფუნქცია გააჩნიათ, რა აქვთ მათ საერთო? საერთო მათ აქვთ სისხლი. მთავარი ქვესისტემა – გულ-სისხლძარღვთა სისტემა დაუღლებლად და განურჩევლად ამარაგებს ყველა ქვესისტემას (ორგანოს) სისხლით, რაც აუცილებელია სიცოცხლისათვის. წყდება სისხლის მიმოქცევა, იღუპება ადამიანი (სისტემა). აი ეს ლოგიკა – მთლიანი მეტია ჯამზე. მოდით ჯერ კიდევ ძველი ფილოსოფოსებიდან – სოკრატე-პლატონი-არისტოტელი (ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია).

მოდით, ამ სისტემური ანალიზის თვალთახედვით საქართველოს ერთი მნიშვნელოვანი და მტკივნეული, მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, ქვემო ქართლი განვიხილოთ. ეს არის ფხვიერი კონგლომერატი, რომელიც პირველივე შეხებით იშლება. აქ ცხოვრობენ ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძენები და მრავალი სხვა ეროვნების ხალხი. ისინი ჩვენი ქვეყნის კანონიერი მოქალაქენი არიან. აზერბაიჯანელები ბაქოს ტელევიზიის და რადიოს უსმენენ, იქვე საზღვარზე გადადიან, შემოაქვთ სხვადასხვა საქონელი, ვაჭრობენ და თავს ამით ირჩენენ. ასევე მუშაობენ ქვეყნების რადიოს და ტელევიზიებს უსმენენ სხვებიც, ბერძენები საერთოდ აიყარნენ და საბერძნეთში გადასახლდნენ. საბერძნეთის თავისი გაჭირვება აქვს, ვერც იქ მოიკიდვს ფეხს, იქიდანაც აიყარნენ და კვლავ დაბრუნდნენ სამშობლოში. აქ ახალი პრობლემები დახვდათ – თავის სახლში შესახლებული სხვა უსახლკარო ხალხი. ძალიან მძიმე შემთხვევაა. ყველა ამ ხალხს საქართველოსთან მხოლოდ ის შენება აქვს, რომ

ქვემო ქართლს და ჯაჰანეთს ქართული ენა უნდა ვასწავლოთ!

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვიციანი

მის ტერიტორიაზე ცხოვრობს და მისი არაფერი არ სტკივა და არ უხარია.

საქართველოც ისეთივე ბუნებრივი სისტემაა, როგორც ადამიანი. მისი ერთი ქვესისტემა, ქვემო ქართლი, არა თუ არ მონაწილეობს მის ალმშენებლობით ცხოვრებაში, არამედ იქით სარჩენია. ეს პრობლემა ასე მწვავედ დღეს გამოჩნდა, თორემ იგი დიდი ხანია, არსებობს. უბრალოდ, შეუძლებელია ასეთი (ავადმყოფი) ქვესისტემის შემცველი, როგორც ქვემო ქართლია, საქართველო წარმატებული იყოს, ანუ მთლიანი მეტია იყოს ჯამზე (გართვალისწინეთ ისიც, არც სხვა რეგიონებია მაინც დაშინებულნი. წარმოიდგინეთ, კარგვით ოთხი ცხენი ლაღად მიაქანებს და რაღაც მიზეზის გამო ერთი ცხენი იღუპება, სვლა მაშინვე დამუხრუჭდება!!! ახალი გარემოება არ ნიშნავს იმას, რომ გამწვევი სამი ცხენი დარჩა, მდგომარეობა უარესია, საერთო უღელში გაბმულია დაღუპული ცხენი).

გაგანალიზოთ, რაშია ჩვენი მრავალეროვანი საქართველოს მთავარი პრობლემა? სახელმწიფო, საზოგადოება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანების ურთიერთობებზე დაფუძნებული. საზოგადოებაში ადამიანების ურთიერ-

გაგანალიზოთ, რაშია ჩვენი მრავალეროვანი საქართველოს მთავარი პრობლემა? სახელმწიფო, საზოგადოება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანების ურთიერთობებზე დაფუძნებული. საზოგადოებაში ადამიანების ურთიერთობა ადამიანში სისხლის მიმოქცევის ტოლფასია. როგორც შეუძლებელია ადამიანი სისხლის მიმოქცევის გარეშე, ასევე წარმოუდგენელია სახელმწიფო ადამიანების ურთიერთობის გარეშე. ადამიანთა ურთიერთობის საშუალება კი არის სახელმწიფო ქართული ენა, რომელიც არ იცის ქვემო ქართლმა, არაფერს ვამბობ ჯაჰანეთზე.



ჩერდა და „ციცკარი“ გასაყიდ ობიექტთა ნუსხაშია შეტანილი. ამას ადვილად ვერ შეეგუება კოჯორის მოსახლეობა.

მოგმართავთ თხოვნით, გაითავისოთ ჩვენი იდეა და მიიღოთ სათანადო გადაწყვეტილება, რათა ქალაქის მერიასთან ერთად სახელმწიფომაც მიიღოს მონაწილეობა არსებული პროექტის დაფინანსებაში.

პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში „ციცკარი“ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ისეთი სახელმწიფო პრობლემების მოგვარებაში, როგორებიცაა:


- პოლიტიკური** – სახელმწიფო ქართული ენის დამკვიდრება ტერიტორიაზე; საერთო სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება და ეთნოკონფლიქტების პროფილაქტიკა; სხვადასხვა ეროვნების ადამიანების ურთიერთობის გაუმჯობესება და საერთო სახელმწიფოებრივი ალმშენებლობის ხელშეწყობა;

- სოციალური** – კოჯორის მოსახლეობის დასაქმება;
- იდეოლოგიური** – პერიფერია დაინახავს, რომ სახელმწიფო ზრუნავს მასზე;
- ეკოლოგიური** – მწვანე საფარისა და კულტურის ძეგლების შენარჩუნება.

იმასაც გეტყვით, რომ ჩვენ ორიგინალურები არ ვიქნებით. ასეთი დაწესებულებები არსებობს აშშ-ში, იტალიაში და სხვაგან, სადაც ერთად იკრიბებიან ურთიერთდაპირისპირებული ქვეყნებიდან ჩამოსული ბავშვები.

იმედი გვაქვს თქვენი მხარდაჭერის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ.

ეს ჩვენი ბრალია და სხვას ნუ გადავბრალვებთ. ჩვენ უნდა ვასწავლოთ მათ ქართული და ისინი ქვეყნის ორგანულ ნაწილად ვაქციოთ.



ოპერაცია „ციანიდი“. მაინც ვის აძლევდა ხელს ყველაზე მეტად ეკლესიაში დისონანსის შეტანა და იტვირთვდა თუ არა მავანი იმ სასიკვდილო ცოდვას, რომელსაც ერი ვერასდროს გამოისყიდია!

დემეტრე დიდხანს გვიმყოფს ერის სულიერ საჭეთმპყრობლად უნდინდესი და უნეტარესი ილია II, მაგრამ, თუ სინამდვილეში პატრიარქის, „მალალი რანგის სასულიერო პირის“ ან თუნდაც „პატრიარქის უახლოესი გარემოცვის“ რომელიმე წევრის სიცოცხლის ხელყოფა იგეგმებოდა, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ ეკლესიის დაუძინებელი მტრები მის წიაღში არეულობის შეტანას და იქ არსებული განხეთქილების საბოლოოდ „გაფორმებას“ აპირებდნენ!!!

კითხვაზე, ვის აძლევდა ხელს ეს? პასუხის გაცემა არც ისე ძნელია – უპირველესად, ეს აწყობდა იმას, ვისაც დაუოკებელი სურვილი აქვს, შეარყიოს ეკლესიის შეუფალი ავტორიტეტი და ერი სულიერი საყრდენის გარეშე დატოვოს!

მიუხედავად ქართულ ეკლესიაში არსებული ქაოსისა და მრევლისთვის დამაბრკოლებელი გარემოებებისა, ყველა გამოკითხვა ადასტურებს, რომ ჩვენი პატრიარქი ერთადერთი შეუფალი ავტორიტეტი, რომელსაც ხალხი ენდობა! ბოროტ ძალებს სწორედ ამ ავტორიტეტის გაცემთვის (ამ სიტყვაში არ იგულისხმება მხოლოდ ფიზიკური ხელყოფა) და მრევლის სულიერი საზრდოს გარეშე დატოვება სურთ!!!

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის თემა დღემდე ზოგადად ტაბუდადებულია და მიიჩნევა, შიდადააზრით გამოწვების ადამიანები, რომლებიც მის წიაღში არსებულ უნდინებოებს ამხელენ, მაგრამ ამას აკეთებენ არა ტკივილითა და სიყვარულით, არამედ აგრესიითა და ნიშნის მოგებით, რაც ისედაც ურწმუნო მრევლს კიდევ უფრო ამძიმებს.

მე არც თეოლოგი ვარ და არც ლვითიმეტყველების სპეციალისტი, რომ პრეტენზია მქონდეს ეკლესიაში არსებული პრობლემების უტყუარ შეფასებაზე, მაგრამ, როგორც რიგითი მრევლი, შევეცდები, ჩემი თვალსაზრისიდან შევაფასო ის, რასაც დღევანდელ ქართულ ეკლესიაში ვხედავ და ვგრძნობ. იმეძია, ამ თემაზე საკუთარი აზრის გამოთქმას მავანი განვიტოვებ არ ჩამოვთვლის...

ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია, ამდენად, ბუნებრივია, ისიც გადაცდომებისგან დაზღვეული ვერ იქნება (იქაც ჩვეულებრივი ადამიანები არიან), თუმცა, უდავოა, რომ მის წიაღში არსებული პრობლემები პირდაპირ აისახება ერის (სახელმწიფოს) სიცოცხლისუნარიანობაზე – დიას, ეკლესიის ერთიანობა და ეკლესიაში დამკვიდრებული წესრიგი პირდაპირპროპორციულია საზოგადოების ერთიანობის, ხოლო მის „სხეულში“ გაჩენილი პარაზიტები დაუნდობლად ღრღნიან ერის ორგანიზმსაც...

მიუხედავად იმისა, რომ ოპერაცია „ციანიდი“ დღეს ქართველი საზოგადოების (მრევლის) განქიქების საგნად იქცა, უპირველესად, იმ არაჯანსაღ სიტუაციაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რამაც ამ მდგომარეობამდე მიგვიყვანა.

არის თუ არა ეკლესიის ბასების საშიშროება?!

რბ თქმა უნდა, არის და ეს ეკლესიის გარშემო ატეხილმა ათიოტაჟმა და დადასტურა – რაც არ უნდა ვმალვთ („კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო!“), სახეზეა სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ეკლესიაში გავლენის სფეროების შესანარჩუნებლად, რაც თავისთავად პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლასაც გულისხმობს.

დემეტრე დიდხანს გვიცოცხლოს ჩვენი პატრიარქი, მაგრამ ერთი რამ უდავოა: გავლენის სფეროების შესანარჩუნებლად დაპირისპირებული მხარეებიდან (რომელიც უკვე გამოკვეთილია), ვინც მოახერხებს სინოდის წევრების უმრავლესობის მხარდაჭერის მიღებას, გავლენას სწორედ ის ჯგუფი (კლანი მეწიითრება რომ ვთქვა) შეინარჩუნებს, ანუ, შეინარჩუნებს იმ ქონებას, რომელიც ხელისუფლების ხელშეწყობითა და საკუთარი სიხარბით დააგროვეს!

რა დასკვნაც არ უნდა დავდოს საქართველოს პროკურატურამ, ერთი რამ ფაქტია: ოპერაცია „ციანიდის“ დამკვეთ-შემსრულებლებმა მიზანს მიაღწიეს – ეკლესია საგრძნობლად გასვარეს (შეეცადნენ, ციხე შეგნიდან გატეხათ) და მრევლი კიდევ უფრო დაეპოკლებინათ..

ვერაფერს დავიჩემებ, მაგრამ, რატომღაც არ მჯერა, რომ პატრიარქის მონამვლა იგეგმებოდა – დღეს ეს დაპირისპირებული ჯგუფების ინტერესში, ალბათ, ნაკლებად შედიოდა, რადგან, პატრიარქის სიცოცხლის ხელყოფით ვერც ერთი მხარე გზას ვერ „გაისუფლავდა“ ბინძური ჩანაფიქრის მისაღწევად!..

მართლაც, თუ დავუშვებთ, რომ „ციანიდს“ თავისი საქმე უნდა გაეკეთებინა, უფრო სარწმუნოა, რომ იმ ადამიანების მოშორება იგეგმებოდა, ვინც ხელს უშლიდა გარკვეულ კლანს მიზნის მიღწევაში. აქედან გამომდინარე, შეიძლება არ გამოვირიცხოთ, რომ სანამლაღი პირველ დღეებში დასახელებული „მალალი სასულიერო იერარქის“ ან პატრიარქის მდივან-რეფერენტის მოსაშორებლად სჭირდებოდათ. ეს უფრო ახლოს დგას რეალობასთან, ვიდრე პატრიარქის მონამვლის მცდელობა!

თუმცა, არც იმას გამოვირიცხავ (პროკურატურის, ხელისუფლების წარმომადგენლებისა და საპატრიარქოს მხრიდან გაკეთებული ერთმანეთისგან განსხვავებული განცხადებები მაფიქრებინებს), რომ ეს ყველაფერი სწორედ ათიოტაჟის ასატეხად იყო ჩაფიქრებული და გარკვეულმა ძალებმა (სხვათა შორის, ამ ვერსიის რწმუნების შემთხვევაში „ნაციონალისტურ“ ხელნერაც იკითხება. რადგან, დღევანდელი ხელისუფლება ამას ასე ოსტატურად ვერც დაგეგმავდა) მიზანს მიაღწიეს!..



ქართველთა სულიერების მკაცრი გაქვავდა

უთქმულაა ეკლესიის წინააღმდეგ თუ უიბნიდან გატეხილი „ციხე“?!

ეკლესია არ არის საპატრიარქო და არც წმინდა სინოდი – ეკლესია ქრისტეს სხეულია. რაც მოგადად ხდება და რაც ახლა მოხდა, ეს ჩვენი სულის (სულიერების) მკაცრი გამოცდაა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ ჩავაბარებთ ამ გამოცდას უფლის წინაშე!



ლაფერი სწორედ ათიოტაჟის ასატეხად იყო ჩაფიქრებული და გარკვეულმა ძალებმა (სხვათა შორის, ამ ვერსიის რწმუნების შემთხვევაში „ნაციონალისტურ“ ხელნერაც იკითხება. რადგან, დღევანდელი ხელისუფლება ამას ასე ოსტატურად ვერც დაგეგმავდა) მიზანს მიაღწიეს!..
დაიას, არავის არაფერს ვაბრალებ, მაგრამ, არც იმას გამოვირიცხავ, რომ ამ ყველაფერში „ნაციონალისტურ“ ხელიც ერიოს. მათ ერთადერთი კოზირი დარჩათ სიტუაციის ასარეგად და ეს კოზირი ეკლესიაა (ჩემდა გასაკვირად, ამას არავინ ამხევილებს ყურადღებას)!!!
არც ის არის სადავო, რომ, როგორც ყოველთვის, დღესაც მოქმედი ხელისუფლება ცდილობდეს, ეკლესიას თავს მოახვიოს მორჩილი პატრიარქი და ამით სანუკვარ მიზანსაც საბოლოოდ მიაღწიოს...
დღეს ბევრს საუბრობენ პატრიარქის გარემოცვაზე, რომელსაც უშვერი ეპითეტები ამკობენ სოლმე. მიუხედავად მისი უნდინდესობისა ჩემი დიდი სიყვარულისა და მოწინებისა (ამის დასტურად ვიტყვი, რომ ჩემი ხელდასხმითა და ავტორობით გამოვიდა წიგნი „ჩემი პატრიარქი“) უნდა განვახსილოთ, რომ ყველა ადამიანი თავისი გარემოცვას თვითონვე ირჩევს და ამ შემთხვევაში პატრიარქის გარემოცვა მეტ-ნაკლებად მისი ნება-სურვილით ჩამოყალიბდა და სიმძიმის ძირითადი ტვირთიც მის კისერზეა – მისი ხელდასხმით შეიქმნა ამდენი ეპარქია (უფაღმა იცის, საჭიროა თუ არა საქართველოში 48 ეპარქია) და მოვიდნენ ის მღვდელთაგანები, რომლებზეც (რა თქმა უნდა, ყველა არ იგულისხმება), სამწხაროდ, ლეგენდებს ჰყვებიან...

ლი, ოპერაცია „ციანიდის“ სამიზნე სწორედ პატრიარქის მდივან-რეფერენტი ყოფილიყო!
ნიშანდობლივია ისიც, რომ გარდა კორუფციისა და სიხარბისა, ეკლესიის მთავარი პრობლემა სასულიერო პირების გაუნათლებლობაა. იგულისხმება არა მხოლოდ თეოლოგიურ-საღვთისმეტყველო განათლება, არამედ ზოგადად, საეკლესიო სწავლება. რიგით მღვდლებს ვინ ჩივის, არც მალაღი იერარქები დგანან ამ მხრივ სათანადო სიმალეზე, რაც მრევლის დაბრკოლების ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ (რა სულიერი საზრდო უნდა მისცეს გაუნათლებელმა მღვდელმა ან მღვდელთაგარმა ისედაც ურწმუნო მრევლს?!).

ვინ უნდა აფინანსებდეს ეკლესიას?

ამ ბოლო დღეებში ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ეკლესიას სახელმწიფო არ უნდა აფინანსებდეს, რადგან, იგი მალაღ იერარქიაში კორუფციის აყვავებისა და გავლენის სფეროების გადანაწილების წყარო ხდება!
შეიძლება ამ პრეტენზიაში იყოს ჭეშმარიტების მარცვალი (რეალობას ვერსად გავეცევი), მაგრამ, ხელის ერთი მოსმით სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის დაფინანსებაზე უარის თქმა დანაშაულია – არ შეიძლება 25 მილიონს ვამაღლიდე ეკლესიას, როცა ასეულობით მილიონს ვუხდიდე ზოგადად ხელისუფლებას (მის სხვადასხვა შტოებს), რომელმაც ქვეყანა გაუსაძლის მდგომარეობამდე მიიყვანა, არ შეიძლება ათეულობით მილიონს ვიხდიდე ჩვენი ჯიბიდან გაქსუებული ჩინოვიკების უსაგნო ვოიაჟებსა და პრემიადანამატებისთვის და ეკლესიისთვის ის მიწიმაღურიც არ გავიმეტოთ. თუმცა...
თუმცა, ხელისუფლება ვალდებულია, გააკონტროლოს, თუ სად მიდის და როგორ ნაწილდება ეკლესიისთვის განკუთვნილი ის 25 მილიონი – მალაღ იერარქების გაძლიერებულ მადას ხმარდება მხოლოდ, თუ რიგით სასულიერო პირებზეც ნაწილდება?! წუთუ იმაზე

© მანის ნაქალაქარი

ანტიკური კოლხეთის მეორე სისოსხლე

28 თებერვალს საქართველოს ეროვნული მუზეუმში ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ და ვანისა და ხონის მაჟორიტარმა დეპუტატმა გრიგოლ ლილუაშვილმა მუზეუმის სტუმრებს მეტად საინტერესო გამოფენა წარუდგინეს, რომელიც რამდენიმე დღეს გასტანს – „ვანის ანტიკური ნაქალაქარი – გუშინ, დღეს, ხვალ“.


მსოფლიოსთვის კარგადაა ცნობილი, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ანტიკურ დროში არსებობდა ერთ-ერთი უდიდესი, უძლიერესი და მაღალგანვითარებული ქვეყანა – კოლხეთის მითური სამეფო. ვანში აღმოჩენილი ნივთები სწორედ იმ უძველესი ქვეყნის მითურობას ანგრევს და მსოფლიოს თვალნათლივ ანახვებს, რომ არგონავტების მითში მოხსენიებული ქვეყანა მართლაც რეალურად არსებობდა. მართლაც არსებობდა ოქროთი მდიდარი რეალური, დასავლეთის ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი, უძველესი სამეფო, საქართველოს კულტურული იდენტობის მთავარი საყრდენი.

აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ინიციატივით 1985 წელს დაფუძნდა ვანის არქეოლოგიური მუზეუმი. ვანი ძველი კოლხეთის პოლიტიკურადმინისტრაციულ ცენტრად მოიაზრებოდა ძველი წელთაღრიცხვის VIII-I საუკუნეში.

სწორედ უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური კვლევების შედეგად აღმოჩენილი უნიკალური ნივთებითა და ნაგებობებით, მოყოლებული გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, ვანის ნაქალაქარი მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. 2007-2009 წლებში ვანში აღმოჩენილმა ნივთებმა ევროპისა და აშშ-ის წამყვან მუზეუმებში ასიათასობით მნახველის აღფრთოვანება გამოიწვია.

ახლა ვანში არქეოლოგიური მუზეუმისა და ვანის ნაქალაქარის ტერიტორიის სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, რომელსაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს. როგორც წარდგინებაზე ითქვა, ამ მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის ღირებულება 14,5 მილიონი ლარია და იგი მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით ხორციელდება.


პროექტი გულისხმობს ნაქალაქარის ტერიტორიის, მუზეუმამდე მისასვლელი გზის მოწყობას და მუზეუმის აღჭურვას სპეციალური ინვენტარით. უნდა აღინიშნოს, რომ 1985 წლიდან მოყოლებული მუზეუმში სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მუზეუმში საერთაშორისო სტან-



დარტებით მოწყობა და ის რეგიონში ყველაზე გამორჩეული მუზეუმი იქნება.

პრეზენტაციის შემდეგ დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა ჩვენი ქვეყნის საგანძურთან ერთად ეხილათ ვანში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ისეთივე არტეფაქტები.

ავთანდილ ზედაძე
ელაზა ნაღარაძის ფოტო.



პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულაია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გაია მახარაძე, ომარ ცაავა, გაია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ გოგინაშვილი უდიდესი მეგობრული გულისტკივილითა და სიყვარულით პატივს მიაგებენ ყოფილი ტრესტ „საქნავთობ-გეოფიზიკის“ თავკაცს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

ბურამ სანაძის

უკვდავ სსოვნას მისი დაბადების დღესთან დაკავშირებით.

ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის დიზაინი მიუზიკული იქნება...

ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის დიზაინსა და პროექტირებაზე სამუშაოდ საქართველოში წამყვანი საერთაშორისო კომპანიის, „მოფატ ენდ ნიკოლის“ (Moffatt & Nichol) წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. ექსპერტები შეხვედრებს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“, საქართველოს რკინიგზის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან მართავენ.

სამუშაო შეხვედრები მიზნად ისახავს ანაკლიის პორტის სახმელეთო ნაწილის დიზაინის დამუშავებას, რომლის შესაბამისად მუშავდება პორტთან მიმავალი საგზაო და საარკინიგზო ინფრასტრუქტურის განვითარება და დაპროექტება.

ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის წინასწარი დიზაინი „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ საქართველოს მთავრობას 2017 წლის ივნისში უნდა წარუდგინოს. პორტის დიზაინის პროექტირებაზე კიდევ ორი საერთაშორისო კომპანია – „ვან



ორდი“ (Van Oord) და „როიალ ჰასკონინგი“ (Royal HaskoningDHV) მუშაობს, რომლებიც „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ ერთად პორტის საზღვაო ნაწილის დიზაინს ადგენენ.

„მოფატ ენდ ნიკოლი“ საერთაშორისო ინფრასტრუქტურული საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში საზღვაო ტერმინალების, ტრანსპორტის, გარემოსა და საქალაქო დაგეგმარების პროექტებშია ჩართული.

ბანცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)

სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი და გრანტი (IFAD Loan #: 2000000778; IFAD Grant 2000000248) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის (AMMAR) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი სამუშაოებისთვის:

- კონტრაქტით # AMMAR/CW/2017/09 - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტირმისში მდ. პატარა ლიხვის კალაპოტის ნაპირსამაგრი სამუშაოები.
- 1. სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR) იწვევს საკონკურსო ვაკუუმში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. **კონტრაქტის ხანგრძლივობაა 4 თვე.**
- 2. კონტრაქტის/კონტრაქტების მინიჭებისათვის კონკურსის მონაწილეებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
 - ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა ეროვნულ ვალუტაში – 2,800,000 ლარი დღგ-ს ჩათვლით
 - ბოლო 3 წლის განმავლობაში გენერალური

- კონტრაქტორის როლში მინიმუმ 1 ანალოგიური ხასიათის და სირთულის, მინიმუმ 700,000 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ღირებულების სამუშაოთა ჩატარების გამოცდილება (ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სამუშაოები არანაკლებ 70%-ით უნდა იყოს დასრულებული), რომლის ფარგლებში ჩატარდა არანაკლებ ფლეთილი ქვით ბერმის მოწყობის 7,000 მ² და გაბიონის 1,000 მ² სამუშაოები.
- კონკურსის მონაწილის ლიკვიდური აქტივების და/ან თავისუფალი საკრედიტო რესურსის (სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით) მინიმალური ოდენობა – 350,000 ლარი.
- 3. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შექმნა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ 2017 წლის 6 მარტიდან (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე. გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:
 - ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;
 - ანგარიშის ნომერი / სახაზინო კოდი: 302004400;
 - გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია

- მიუთითოთ სადგომი კვე-კოდი – 4411.
- 4. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე **სატყუარო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით**. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2017 წლის 30 მარტის 12:00 საათისა**, როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.
- 5. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.
- მისამართი: თბილისი, მარშალ გელოვანის №6, მე-3 სართული, ოთახი 309
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

ნანა ჯორჯაძის ფილმი პოლივუდში 5 ნომინაციაში დაჯილდოვდა

ცნობილი ქართველი რეჟისორის ნანა ჯორჯაძის ფილმი „ღვინის ნულოვანი მერიდიანი“ პოლივუდის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ტრიუმფატორი გახდა.



ფილმი, რომელიც ღვინის ქართული ტრადიციების შესახებ მოგვითხრობს, 5 ნომინაციაში დაჯილდოვდა.

საუკეთესო რეჟისორი – ნანა ჯორჯაძე; საუკეთესო სცენარის ავტორი – თამარ ბართაია; საუკეთესო პროდიუსერი – შალვა ხეცურიანი; საუკეთესო დამდგმელი ოპერატორი – მიხეილ კვირიკაძე; როლის საუკეთესო შემსრულებელი – რევაზ ხეცურიანი. „ღვინის ნულოვანი მერიდიანი“ სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალზე არაერთი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელია. ფილმის პრემიერა საქართველოში 2017 წლის ოქტომბერში იგეგმება.

„სხვისი სახლი“ პრემის საერთაშორისო კადავინის პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი გახდა



ლოს-ანჯელესში პრემის საერთაშორისო აკადემიის რჩეულები გამოავლინეს. სხვადასხვა ნომინაციაში დაჯილდოვდნენ ისეთი ცნობილი და აღიარებული ფილმები როგორც La La Land, Moonlight, The Salesman, Manchester by the Sea, Jackie7 Hackshaw Ridge, Elle და ა.შ.

საუკეთესო დებიუტისთვის კი „სატელიტი“ ქართველ რეჟისორს რუსუდან გლურჯიძეს გადასცეს ფილმისთვის „სხვისი სახლი“.

„სხვისი სახლი“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია, რომელსაც უკვე მოპოვებული აქვს არაერთი საერთაშორისო ჯილდო, მათ შორის, მთავარი პრიზები კარლოვი ვარის, ბერგენის, ევრაზიისა და თბილისის საერთაშორისო ფესტივალებზე.

ინტერნეტიდან

ჯინა-ლიზა ლოფჰინკი - ჭეშმარიტი შპაბი

ბერმანელი მოდელი ჯინა-ლიზა ლოფჰინკი ცოტა ხნის წინათ დიდი პოპულარიზაციის წილი და ფერად-ფერადი ბიუსტიკალიტეტებიც ლურსმანზე ჩამოვიდა. შესაძლებელია, სამოდელი ბიზნესის მოყვარულთ ეს ლამაზმანი ცოტა ხანში სულაც აღარ გაახსენდეთ, მაგრამ ფესტივალის მოყვარულ ბუნდესქვეყნელებს ის ალბათ არასოდეს დაავიწყდებათ.



საქმე ისაა, რომ ჯინა-ლიზა ფესტივალზე ნამეტნავადაა შეყვარებული, მისი საყვარელი საფეხბურთო კლუბი კი მშობლიური „შტუტგარტი“. ალბათ მიხვდით, რომ გერმანელი მოდელი წარმოშობით შვაბია და რა გასაკვირია, რომ შვაბთა უმთავრეს საფეხბურთო კლუბზე შევარდნია გული.

ჯინა-ლიზა ლოფჰინკი ხშირად დარდიანად იხსენებს იმ დროსა და ჟამს, როდესაც მისი საყვარელი „შტუტგარტი“ გერმანიის ჩემპიონი გახდა და ბუნდესლიგის ლეგენდარულ ვერცხლის სინს დაეუფლა. როგორც ჭეშმარიტ შვაბს, ჯინა-ლიზას სჯერა, რომ მსგავსი სიხარული და სიამე, აუცილებლად განმეორდება. როსტომ რაჭველიშვილი

მადრიდში ტრანსპორტის საინოვაციო ავტობუსი დადის?!

ესპანეთის დედაქალაქში გამოჩნდა ავტობუსი, რომელიც ტრანსპორტის საინოვაციო ლოზუნგს ატარებს: „თუ დაიბადე კაცად – ხარ კაცი! თუ დაიბადე ქალად – დარჩები ქალი! არ აგერიოს ერთმანეთში!“

ეს აქცია ადგილობრივ კათოლიკურ ორგანიზაციას ეკუთვნის, რომელიც ფიქრობს, რომ სხვა დიდი ქალაქების საზოგადოებრივ ტრანსპორტზე განათავსოს მსგავსი ლოზუნგები.



მადრიდის ადმინისტრაცია კი აცხადებს, რომ მათ ამის უფლება არ მიუციათ და ყველაფერს გაარკვევს.

საუდის არაბეთის მეფე ინდონეზიაში 450 ტონა ტვირთით მიემგზავრება



მეფე სალმან ზენ აბდულ-აზიზ ალ საუდი 1-9 მარტს ინდონეზიას სტუმრობს. მონარქს თან გაჰყვება 1500-კაციანი დაცვა და 25 პრინცი. სამეფო დელეგაციის ბარგი კი 450 ტონას შეადგენს.

ეს ვიზიტი გრანდიოზულად აღინიშნება, რადგან ბოლო 70 წლის განმავლობაში საუდის არაბეთის წარმომადგენლები პირველად სტუმრობენ ქვეყანას.


დელეგაცია ოთხ სხვადასხვა სასტუმროში განთავსდება. ერთ სასტუმროში მათთვის 200 ნომერია დაჯავშნული. თითოეულის ღირებულება ღამეში 150 დოლარს შეადგენს.

თანმსვლელი დაცვის გარდა (1500 კაცი) მეფეს 10 000 ინდონეზიელი პოლიციელი და სამხედრო დაიცავს.

დელეგაცია სამი დღე დარჩება ჯაკარტაში, შემდეგ კი დასასვენებლად ბალიზე გადაინაცვლებს.

საუკეთესო ქალაქები სტუდენტებისთვის

ბრიტანულმა კომპანიამ სტუდენტებისთვის საუკეთესო ქალაქების რეიტინგი გამოაქვეყნა. ისინი აირჩიეს ინსტიტუტების რეიტინგით, ფინანსური მხარით, საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობით, სტუდენტური დასაქმების პროგრამებით. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა თავად ახალგაზრდების აზრსაც.



ქალაქების სათავეში არიან: მონრეალი, პარიზი, ლონდონი, სეული და მელბურნი. ასევე ათეულში მოხვდა სანკტ-პეტერბურგი.

ყველაზე საინტერესო ავტომობილი



ამერიკულმა სააგენტომ „J.D. Power“-მა შეადგინა ყველაზე უსაფრთხო მანქანების რეიტინგი. კვლევა ჩატარდა მხოლოდ აშშ-ში და გამოიკითხა 35 000-ზე მეტი ავტომფლობელი.

როგორც გაირკვა, ამერიკელებისთვის ყველაზე უსაფრთხო მოდელები ლექსუსი და პორშე აღმოჩნდა. შემდეგ მოდის ტოიოტა, მერსედეს-ბენცი, ჰიუნდაი, ჰონდა, შევროლეტი, ბემ-ემ-ვე და იაგუარი.

ლექსუსის ბრენდის მანქანები უკვე მეექვსე წელია, ლიდერობას არავის უთმობენ. ყველაზე დიდი ნახტომი კი ამ რეიტინგში ჰიუნდაის აქვს, მან 25 პუნქტით გაიუმჯობესა შარშანდელი პოზიცია.

პატრიკ სვეიზის ქვრივი ქვრივს ანდერძს არ ასრულებს

პოლივუდის ვარსკვლავის პატრიკ სვეიზის (2009 წელს სიმსივნით გარდაიცვალა) მეუღლე „ბინძური ცეკვების“ ვარსკვლავი ლიზა ნიემი მეუღლის ანდერძს არაფრად აგდება.



პატრიკმა მისი საყვარელი ნივთები ნათესავებსა და ძვირფას ადამიანებს დაუტოვა, მაგრამ ლიზა აპირებს ეს ყველაფერი აუქციონზე გაყიდოს. ის ისეთი ნუნურაქია, რომ პატრიკის დედისთვის შვილის საყვარელი ქურთუკიც კი ვერ გაიმეტა. არადა მთელი ქონება – 40 მილიონი დოლარი სვეიზმა ცოლს დაუტოვა. მაგრამ როგორც ჩანს მის სიხარულს საზღვარი არა აქვს.

მსახიობის ნივთებს აპრილის ბოლოს აუქციონზე გაყიდვან. მოამზადა როსტომ რაჭველიშვილი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი
 სპარტაკ ძოგულია
 293-13-34
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
 გურამ გომიაშვილი
 599 53-76-16;
 ალექო
 ასლანიშვილი
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
 მამუკა ვაშაქიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთ
 „საქართველოს რესპუბლიკის“
 გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 შპს „ახალი საუკუნე“
 იბეჭდება გამომცემლობა
 „კოლორი“
 რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22)
 ს-323
 ISSN 2233-3851

9 772 233 385 001

ავტორთა საყურადღებოდ!
 რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
 უნი ბაზითა,
 აუსილებლად
 წაიკითხე!

| | | | |
|--|--|--|---|
| | რედაქციის მისამართი: აშშ ფოლარი - 2.5494; პარიზი - 2.7016; ბრიტანული მიკროსაბჭოების - 3.1712; 100 რუბლი - 4.3961; თურქული ლირა - 0.7064; აზერბაიჯანული მანათი - 1.4322; 1000 სომხური დრამი - 5.2392. | აივნი 2 მარტისთვის აღმოსავლეთი საქართველო: პარიზი - ღამე 0, ღვე +17 შიონი რაიონები - ღამე -4, ღვე +15 დასავლეთი საქართველო: პარიზი - ღამე +7, ღვე +24 შიონი რაიონები - ღამე 0, ღვე +20 თბილისი: ღამე +2, ღვე +15 | დაგვიკავით, მოგვწერით: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge |
|--|--|--|---|